საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №69

2015 წლის 31 ივლისი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ"
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N6 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63–ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N6 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით დამტკიცებული „სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა" (დანართი №4) ჩამოყალიბდეს დანართის (თან ერთვის) შესაბამისად;

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ხელაძე

/დანართი 4/

1 **პროგრამის სახელწოდება:**

სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა

2 **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა,განათლების,კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური

3 **პროგრამის მიზანი:**

სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება

4 **პროგრამის აქტუალობა:**

ვეტერანებისა და მათი ოჯახების თანადგომა.

5 **სფერო რომელსაც ეხება პროგრამა:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მშენებლობა | სოც.უზრუნველყოფა | ჯანმრთელობა | სპორტი | სხვა (მიუთითეთ) |
| ტრანსპორტი | უსაფრთხოება | ინფრასტრუქტურა | ეკონომიკა | |

6 **პროგრამის აღწერა:**

გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახისათვის დახმარების აღმოჩენა, კერძოდ სარიტუალო მომსახურებისას ფინანსური დახმარება 250 (ორასომოცდაათი) ლარის ოდენობით. ასევე მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ერთჯერადად დახმარების გაწევა 9 მაისთან დაკავშირებით(თითოეულს 100 ლარის ოდენობით) დღეის მდგომარეობით არის 28 ბენეფიციარი).გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანებისთვის ერთჯერადად 100 ლარით დახმარება(47 ბენეფიციარი).საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომრების ოჯახებისათვის 27 სექტემბერს (სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით,15 ბენეფიციარი) და 8 აგვისტოს (აგვისტოს ომთან დაკავშირებით,4 ვეტერანი) 100 ლარით დახმარება (19 ვეტერანი სულ 1900ლარი). საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა შეჭირვებული ოჯახების (55 ბენეფიციარი), სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანების კერძოდ: ავღანეთის ომის მონაწილე შეჭირვებული ოჯახებისათვის (5 ბენეფიციარი) ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება. პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდი ვეტერანებისათვის ყოველთვიურად 100 ლარით დახმარება (3 ვეტერანი საჭიროებს 3600 ლარს) 3 მარტთან დაკავშირებით დაღუპული მეომრების დედების დასაჩუქრება 100 ლარით (17 ვეტერანის დედა 1700 ლარი) ომში დაღუპული მეომრების საპატივცემლოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით საჩუქრის გადაცემა (900 ლარი).

7 **პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება**

| | |
|---|---|
| საკუთარი უფლებამოსილება | დელეგირებული უფლებამოსილება |

8 **პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი:**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

9 **კავშირი სხვა პროგრამებთან**

სოციალური დაცვის პროგრამები

10

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის სტატუსი: | ერთწლიანი | ახალი | მრავალწლიანი |

11 **პროგრამის განხორციელების ვადები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| დაწყება: | 1/1/2015 | დასრულება: | 12/31/2015 |

12 **გადახდა**

| | | | |
|---|---|---|---|
| ამოცანა 1. | გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანებისთვის ერთჯერადად 100 ლარით დახმარება | ღონისძიება 1 | ამ დღესასწაულთან დაკავშირებით საჩუქრად თანხის გადაცემა |
| ამოცანა 2. | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომრების ოჯახებისათვის 27სექტემბერს და 8 აგვისტოს თარიღებთან დაკავშირებით საჩუქრად 100 ლარის გადაცემა | ღონისძიება 2 | ამ თარიღებთან დაკავშირებით თანხის გადაცემა |
| ამოცანა 3. | „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა შეჭირვებული ოჯახების (55 ბენეფიციარი), სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანების კერძოდ: ავღანეთის ომის მონაწილე შეჭირვებული ოჯახებისათვის (5 ბენეფიციარი) ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება. პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდი ვეტერანებისათვის ყოველთვიურად 100 ლარის დახმარება (სამი ინვალიდი) | ღონისძიება 3 | ვეტერანების და მათი ოჯახების ყოველთვიური ფინანსური დახმარება |
| ამოცანა 4. | ომში დაღუპული მეომრების საპატივცემულოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით საჩუქრის გადაცემა (900 ლარი). | ღონისძიება 4 | ღონისძიებებთან დაკავშირებით სამახსოვრო საჩუქრების გადაცემა |
| ამოცანა 5. | 3 მარტთან დაკავშირებით დაღუპულ ვეტერანთა დედების დასაჩუქრება ერთჯერადად 100 ლარით | ღონისძიება 5 | დაღუპული ვეტერანების დედებისთვის თანხის გადაცემა |

| | | | |
|---|---|---|---|
| ამოცანა 6. | მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ერთჯერადად დახმარების გაწევა 9 მაისთან დაკავშირებით 100 ლარის ოდენობით | ღონისძიება 6 | მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეებზე ერთჯერადად თანხის გაცემა |
| ამოცანა 7. | ომის მონაწილეთა ოჯახების სარიტუალო დახმარება | ღონისძიება 7 | ომის მონაწილეთა ოჯახებზე სარიტუალო თანხის გაცემა |

13 პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები:

| № | დასახელება | სულ |
|---|---|---|
| 1 | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომრების ოჯახებისათვის 27სექტემბერს და 8 აგვისტოს თარიღებთან დაკავშირებით საჩუქრად 100 ლარის გადაცემა | 1900 ლარი |
| 2 | გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანებისთვის ერთჯერადად 100 ლარით დახმარება | 4700 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| 3 | „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა შეჭირვებული ოჯახების (55 ბენეფიციარი), სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანების კერძოდ: ავღანეთის ომის მონაწილე შეჭირვებული ოჯახებისათვის (5 ბენეფიციარი) ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება. პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდი ვეტერანებისათვის ყოველთვიურად 100 ლარის დახმარება (სამი ინვალიდი) | 33500 ლარი |
| 4 | 3 მარტთან დაკავშირებით დაღუპულ მეომრების დედების დასაჩუქრება ერთჯერადად 100 ლარით (17 დედა) | 1700 ლარი |
| 5 | ომში დაღუპული მეომრების საპატივცემულოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით საჩუქრის გადაცემა | 900 ლარი |
| 6 | მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერადი დახმარება 9 მაისთან დაკავშირებით | 2800 ლარი |
| 7 | ომის მონაწილეთა ოჯახების სარიტუალო დახმარება | 4000 ლარი |
| | **სულ ხარჯი** | **49 500 ლარი** |

**მიმდინარე პროგრამის შეფასების კრიტერიუმები:**

| | | |
|---|---|---|
| 14 | 1 | პროგრამა შეფასებულია დადებითად. პროგრამა |

მოსალოდნელი შედეგები:

| | | |
|---|---|---|
| 15 | 1 | ვეტერანები და მათი ოჯახები მადლობელი არიან მუნიციპალიტეტის თანადგომით. |

| | |
|---|---|
| | მოსარგებლეთა შერჩევის წესი: |
| 16 | სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა და მათი ოჯახების დახმარება |

| | |
|---|---|
| 17 | თარიღი |
| | **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:** |
| 18 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა,განათლების,კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი /თ.. ფირცხალაიშვილი/ |

| | | |
|---|---|---|
| 19 | შეთანხმებულია: | იურიდიული სამსახური: /შ. ჩაგუნავა/ |
| | | საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური რ. ლაშხია |